ოქმი:**ო12.37220681**
თარიღი:**09/03/2022**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 7 მარტი

ქ.ოზურგეთი

15.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ჭანიშვილი, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი, მ. ვაშალომიძე, გ. სირაძე, ხ. თავდიშვილი, ს. ქარცივაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ი. თუთბერიძე.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2021 წელში კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: გიორგი მამაკაიშვილი

3. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა კომისიის საკურატორო დარგებში პროგრამების განხორციელების მნიშვნელობაზე, კონკრეტულად პროგრამებზე კი ანგარიში წარმოადგინა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა მ. ჩხიკვიშვილმა დასვა შეკითხვა, რატომ არ დაფინანსდა პლატფორმა „თვითმმართველობა განათლებისათვის“ გამარჯვებული პროექტი. განუმარტეს, რომ ვერ მოხერხდა საფინანსო-ბუღალტრული დოკუმენტაციის დროულად მომზადება და პროექტი დაფინანსდება მიმდინარე წლს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ანგარიში მიეღოთ ცნობად.

თანამომხსენებელმა გ.მამაკაიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, აქაც მისი მოსმენის შემდეგ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა ი. თუთბერიძემ დასვა შეკითხვა-რამდენი პროცენტია ბიუჯეტის შემოსავლებში შრომის ანაზღაურების წილი? განუმარტეს, რომ იგი შეადგენს 21%, კანონმდებლობით დაშვებულია 25%-მდე. კომისიის წევრი გ. სირაძე დაინტერესდა შესაძლებელი არის თუ არა საბავშვო ბაღის მშენებლობა დაფინანსდეს სარეზერვო ფონდიდან. განუმარტეს, რომ არ შეიძლება. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ.ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიაში შემოსული წერილები, რომლებზეც მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

გადაწყვიტეს:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2021 წელში კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების შესახებ“ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა
კომისია-კომისიის თავჯდომარე